ევროპის საბჭოს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების დამატებითი ოქმი

სტრასბურგი, 6.XI.1952

1949 წლის 2 სექტემბერს პარიზში ხელმოწერილი ევროპის საბჭოს პრივილეგიებსა და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების (შემდგომში შეთანხმების) ხელმომწერი მთავრობები, სურთ რა გააფართოვონ შეთანხმების დებულებები,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ევროპის საბჭოს ნებისმიერ ამჟამინდელ ან მომავალ წევრს, რომელიც არ არის შეთანხმების ხელმომწერი, შეუძლია მიუერთდეს მას და ამ ოქმს მისი მიერთების სიგელის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შესანახად ჩაბარების გზით, რომელიც აცნობებს ამის თაობაზე საბჭოს სხვა წევრებს.

მუხლი 2

ა) შეთანხმების IV ნაწილის დებულებები გამოიყენებიან იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც ესწრებიან მინისტრების მოადგილეების შეხვედრებს.
ბ) შეთანხმების IV ნაწილის დებულებები გამოიყენებიან იმ წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც არ არიან წარმომადგენლები საკონსულტაციო ასამბლეაში და ესწრებიან ევროპის საბჭოს მიერ მოწვეულ შეხვედრებს, რომელთა ჩატარება ხდება მინისტრთა კომიტეტის და მინისტრთა მოადგილეების შეხვედრებს შორის პერიოდში, იმ პირობით, რომ ამ შეხვედრებზე დამსწრე წარმომადგენლები არ თავისუფლდებიან დაპატიმრების ან სისხლის სამართლებრივი დევნისაგან, თუკი მათ წაასწრებენ დანაშაულის ჩადენის ან დანაშაულის ჩადენის მცდელობის დროს ან დაუყოვნებლივ დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

მუხლი 3

შეთანხმების მე-15 მუხლის დებულებები გამოიყენებიან ასამბლეაში წარმომადგენლებისა და მათი მოადგილეების მიმართ, ნებისმიერ დროს, როდესაც ისინი ესწრებიან ან მგზავრობენ საკონსულტაციო ასამბლეის კომიტეტების ან ქვე-კომიტეტების შეხვედრებზე დასასწრებად ან ბრუნდებიან ასეთი შეხვედრებიდან, მიუხედავად იმისა, ტარდება თუ არა ამ დროს ასამბლეის სხდომა.

მუხლი 4

ევროპის საბჭოს წევრების მუდმივი წარმომადგენლები, მათი ფუნქციების განხორციელებისას და შეხვედრათა ადგილებამდე ან ადგილებიდან მგზავრობისას, სარგებლობენ იმ პრივილეგიებით, იმუნიტეტებითა და შეღავათებით, რომლებითაც ჩვეულებრივ სარგებლობენ შესაბამისი რანგის დიპლომატიური ემისრები.

მუხლი 5

პრივილეგიები, იმუნიტეტები და შეღავათები წევრების წარმომადგენლებს ენიჭებათ არა შესაბამისი პირების პირადი სარგებლობისათვის, არამედ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ევროპის საბჭოსთან დაკავშირებული მათი ფუნქციების დამოუკიდებელი განხორციელება. შესაბამისად, წევრს აქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ, მისი მოვალეობაა მოუხსნას იმუნიტეტი მის წარმომადგენელს ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, წევრის აზრით, იმუნიტეტი ხელს შეუშლის მართლმსაჯულების

განხორციელებას და მისი მოხსნა შეიძლება იმ მიზნისათვის ზიანის მიყენების გარეშე, რისთვისაც მოხდა იმუნიტეტის მინიჭება.

მუხლი 6

მე-4 მუხლის დებულებები არ გამოიყენებიან იმ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიმართ, რომლის მოქალაქეც არის პირი და რომლის წარმომადგენელიც იგი არის ან იყო.

მუხლი 7

ა) ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ყველა წევრისათვის, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას. ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას შეთანხმების რატიფიკაციისთანავე ან შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.
ბ) ეს ოქმი ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც მისი რატიფიცირება მოხდება ყველა ხელმომწერის მიერ, რომლებმაც ამ დროისათვის მოახდინეს შეთანხმების რატიფიცირება, იმ პირობით, რომ იმ ხელმომწერთა რიცხვი, რომლებიც მოახდენენ შეთანხმებისა და ოქმის რატიფიცირებას, არ უნდა იყოს შვიდზე ნაკლები.
გ) იმ ხელმომწერთა მიმართ, რომლებიც შემდგომში მოახდენენ რატიფიცირებას, ოქმი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.
დ)იმ წევრების მიმართ, რომლებიც მიუერთდებიან შეთანხმებას ან ოქმს 1-ლი მუხლის პირობების შესაბამისად, შეთანხმება და ოქმი ძალაში შედის:

i. ზემო ბ პუნქტში განსაზღვრულ ვადაში, როდესაც მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარება მოხდება ამ თარიღამდე; ან

ii. მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან, როდესაც სიგელის ჩაბარება მოხდება ზემო ბ პუნქტში განსაზღვრული თარიღის შემდეგ.

ამის დასტურად, ქვემორე ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 1952 წლის ნოემბერის მე-6 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური, შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ მთავრობას.